

## ავტობიოგრაფია

მე, ნათია წიპტაური დავიბადე 1991 წლის 26 აგვისტოს ახალგორში, სადაც ვცხოვრობდი 2008 წლის აგვისტოს ომამდე.

2009 წლიდან ვცხოვრობ მცხეთის რაიონის სოფ. ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში მშობლებთან და ძმასთან ერთად.

2009 წელს ჩავაბარე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2013 წელს.

2015 წელს ჩავაბარე ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდა, რის შედეგადაც კონკურსის საფუძველზე დავინიშნე ახალგორის მუნიციპალიტეტის ქარჩოხის თემის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად, სადაც ვიმუშავე 2016 წლის 16 თებერვლამდე.

2016 წელს 17 თებერვლიდან კონკურსის საფუძველზე ამირჩიეს #27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად 5 წლის ვადით, 2021 წელს ხელმეორედ ამირჩიეს იგივე პოზიციაზე სადაც დღემდე ვაგრძელებ მუშაობას.

2016 წელს, ასევე, ჩავაბარე მაგისტრატურის გამოცდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2018 წელს წარჩინებით.

2021 წელს გავხდი საარჩევნო სისტემების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ტრენერი, რომლის ფარგლებშიც ვატარებდი ტრენინგებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის.

2022 წელს მივიღე მონაწილეობა ტრენერის ამპლუაში საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისა და საჯარო სკოლების ერთბლივ პროექტში „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლის მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფას და ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებას.

2021 წლის 20 დეკემბერს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

ნათია წიპტაური

18.08.2022

ნ. ჩავაბარე.